

**ცაგერის მუნიციპალიტეტის საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის  
აღუდა თუთისანის ანგარიში 2019 წლის გაწეული საქმიანობის შესახებ**

---

საფინანსო-საბიუჯეტო კომისია შეიქმნა „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს, საქართველოს ორგანული კანონის 28-ე მუხლის შესაბამისად, საკრებულოს დებულებით დადგენილი წესით. კომისია შექმნილია დებულებით დადგენილი საკითხების საკრებულოში წინასწარი მომზადების, გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის ხელის შეწყობის, მერიის და მისი სტრუქტურული ერთეულების, აგრეთვე მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების კონტროლის მიზნით.

კომისია აკონტროლებს და მუდმივ ყურადღებას აქცევს საბიუჯეტო პროცესს რეგულარულად, განიხილავს პრიორიტეტების დოკუმენტისა და ბიუჯეტის პროექტის მომზადების მიმდინარეობას.

როგორც კომისიის თავმჯდომარე, რეგულარულად ვიწვევ კომისიის სხდომებს, გამოვდივარ კომისიის სახელით საკრებულოსა და ბიუროს სხდომებზე. ვხვდები მოსახლეობას, ვადგენ სამუშაო გეგმებს და ვასრულებ ამ გეგმით გათვალისწინებულ ღონისძიებათა განხორციელებას.

მიმდინარე წელს კომისიამ ჩაატარა სხდომა 10-ჯერ (სათანადო ოქმებით). სხდომებზე განვიხილეთ ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები ისეთი როგორცაა 2018 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში. ასევე ხდება ბიუჯეტის ყოველკვარტალური განხილვა და შესრულების ანგარიშის წარდგენა მოხდა საკრებულოს სხდომაზე.

ცაგერის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის განხილვის დროს კომისიამ იმსჯელა და შენიშვნებით დაუბრუნა მერიას, რომლის დიდი ნაწილის გათვალისწინება მოხდა და ცაგერის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტი დამტკიცდა მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 29 დეკემბრის # 65 დადგენილებით და განისაზღვრა 6478,5 ათასი ლარით.

2019 წელს ცაგერის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში სულ განხორციელდა 14 ცვლილება და ბიუჯეტმა შეადგინა 17041,9 ათ.ლარი.

ცაგერის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის უდიდესი ნაწილი იხარჯება ხელფასებში 6478,5 ათასი ლარიდან 1545 ათასი ლარით წარმომადგენლობით და აღმასრულებელ ორგანოებში დასაქმებული ადამიანების ხელფასია. სუბსიდიების სახით გაცემულია 244902,80 ლარი. რაც შეეხება ინფრასტრუქტურის მშენებლობა რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია უნდა დაფინანსებულიყო 11695,7 ათ. ლარით. დაფინანსდა 60834 ათ. ლარით. ეს არის შესრულების 50%, რაც არადაამაკმაყოფილებელია. კომისია თავის მუშაობის პერიოდში მუდმივად აკეთებს აქცენტს დაკონკრეტებულ და შეუსრულებელ ობიექტებზე, რაც აუთვისებელი თანხების მიზეზია. საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის შეხედულებით საჭიროა მუნიციპალიტეტის ძალიან ბევრ თემში სასმელი წყლის რეაბილიტაცია. ექსპლუატაციაში არის ისეთი სოფლებიც, სადაც წყალი საერთოდ არ მიეწოდება, ამიტომაც საჭიროა ეს პრობლემა 2020 წლის ბიუჯეტში სრულად იყოს გათვალისწინებული, რასაც დიდ ყურადღებას მიაქცევს ჩვენი კომისია. კარგია, რომ ქალაქის ასფალტირება თითქმის დამთავრდა, პრიორიტეტი ეკავა სასოფლო გზების მოგვარება. თუმცა რამდენიმე სოფლებში უკვე მიმდინარეობს ცემენტო-ბეტონის დაგება, რაც კარგია, თუმცა არასაკმარისი.

ცაგერის მუნიციპალიტეტის საფინანსო-საბიუჯეტო კომისია კრიტიკულად განიხილავს ა(ა) იპ-ების საკითხს.

როგორც პროპორციული სიით არჩეული დეპუტატი მუდმივად ვხვდები მოსახლეობას, შეხვედრებს ვახდენ როგორც მუნიციპალიტეტის სოფლებში, ასევე მიღებას ვაწარმოებ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროსაც. ვისმენ მათ პრობლემებს ვაანალიზებ და ვუწევ შესაბამის დახმარებას. ჩემი ინიციატივით და მუნიციპალიტეტის მერის მხარდაჭერით დაფინანსდა რამდენიმე აუცილებელი პროექტი, კემოდ, ჩქუმში სანიაღვრე არხები, შერემონტდა და აშენდა რამდენიმე საფეხმავლო და საავტომობილო ხიდი. მოსახლეობასთან შეხვედრების დროს მუდმივად იყო მოთხოვნა თვალის ექიმების ჯგუფზე, რომლებიც მოახდენდნენ მოსახლეობის გამოკვლევას. მუშაობის

შედეგად შევძელი კონტაქტი დამემყარებინა ქუთაისის ოფთალმიჯის თვალის კლინიკასთან, რომელთანაც გავაფორმე ხელშეკრულება და დავიწყე მათი შემოყვანა მუნიციპალიტეტის სოფლებში. მოვახდინეთ ზუბის, ორბელის, ლაჯანის, ლუხვანოს, ჩქუმის მოსახლეობის გამოკვლევა. პროცესი კვლავ მიმდინარეობს, მომავალში კვლავ ვფიქრობთ ღონისძიებების გატარებას.

კომისია მუშაობს 20120 წლის პროექტზე. მიღების დროს აუცილებლად განსაზღვრული იქნება ის ძირითადი პრობლემები, რომლებიც მოსახლეობისათვის პრიორიტეტულია.